მატჩი ვილნიუსში

ვილნიუსი. 5 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.).

დღეს აქ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ადგილობრივ "სპარტაკთან". თბილისელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მატჩის ანგარიშია 5:0 თბილისელთა სასარგებლოდ, ბურთები გაიტანეს: პირველ ტაიმში _ დათუნაშვილმა და ბარქაიამ (ამ უკანასკნელის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა მცველს და იქიდან გავიდა დარში), მეორე ტაიმში _ მესხმა, დათუნაშვილმა და კვლავ მესხმა.

"ლელო", 6 აგვისტო, 1961 წ.